ქართული ჯარი

თებერვალი 2019

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ–ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

ნატოს თავდაცვის მინისტრიალი და მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია

გვ.2

2019 წლის 17 თებერვალს საჩხერის სამთო მომზადების სკოლას 13 წლის იუბილე შეუსრულდა

გვ. 7

მინისტრის პირისპირ პროექტის ფარგლებში ლევან იზორია ჟურნალისტებს შეხვდა

გვ. 5

სიყვარული, როგორც ძაღა

გვ. 12

ღუგარის ცენტრი – რუსული დეზინფორმაციის მორიგი სამიზნე

გვ. 14

დღეს ისევ ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, ვდგავართ იქ, სადაც უნდა ვიდგეთ!

გვ. 10

ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრებს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში უმასპინძლეს

13-14 თებერვალს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში ნატო-ს თავდაცვის მინისტერიალი ჩატარდა. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივანს იენს სტოლტენბერგსა და მის მოადგილეს როუზ გოტმიოლერს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბბინაში შეხვდა. მხარეებმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების ურყევ მისწრაფებებსა და ამ კუთხით საქართველოს მოსახლეობის მზარდ მხარდაჭერაზე იმსჯელეს.

საუბარი ნატო-საქართველოს ურთიერთობებს, საქართველოს როლს შავი ზღვის რეგიონისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესსა და მარტში დაგეგმილ ნატო-საქართველოს სწავლება NATO-GEO EXERCISE 2019-ს შეეხო. მხარეებმა თანამშრომლობის განვითარების სამომავლო გეგმებიც განიხილეს და აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელი საკმაოდ დატვირთული იქნება მაღალი დონის ვიზიტებით, საერთაშორისო სწავლებებითა და სხვადასხვა ღონისძიებებით.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში, ნატოს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში, ორმხრივი შეხვედრები გამართა. თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ნატოში ვიზიტის პირველი დღე აშშ-ის მუდმივ წარმომადგენელთან ელჩ კეი ბეილი ჰაჩისონთან შეხვედრით დაიწყო.

მინისტრმა აშშ-ის წარმომადგენელს ნატოში აშშ-ის მხრიდან საქართველოს პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო ძალიან აფასებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების გზაზე აშშ-ის მხარდაჭერას.

„ძალიან საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრა მქონდა აშშ-ის მუდმივმოქმედ წარმომადგენელთან. საუბარი იყო განსაკუთრებით ნატოს ღია კარის პოლიტიკის განხორციელების ასპექტზე, რომელიც წელს ჩრდილოეთ მაკედონიას შეეხო, ორი წლის წინ კი, მონტენეგროს“, – განაცხადა ლევან იზორიამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

ლევან იზორიამ ელჩ კეი ბეილი ჰაჩისონს საქართველოს თავდაცვის უწყებაში განხორციელებული რეფორმები და მომავალი წლის გეგმები გააცნო. ხაზგასმით აღინიშნა ორმხრივ ფორმატში აშშ-საქართველოს სამაგალითო თანამშრომლობის საკითხი. საუბრისას ყურადღება გამახვილდა საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებაზე, აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი აშშ-საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის (GDRP) პროგრამის მიმდინარეობასა და საბრძოლო მომზადების ცენტრის სრულყოფაზე. მხარეებმა ასევე, ისაუბრეს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესზე, ბიუჯეტისა და რესურსების სწორად განაწილებაზე, საქართველოში დაგეგმილ საერთაშორისო წვრთნებზე, ტოტალური თავდაცვის კონცეფციასა და ორმხრივი თანამშრომლობის სხვა მიმართულებებზე.

პარტნიორ ქვეყნებთან თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები და ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით საქართველოს მიერ თავდაცვის ძალებში გატარებული რეფორმები ის მთავარი საკითხები იყო, რაზეც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლიეტუველ, ბულგარელ, რუმინელ და თურქ კოლეგებთან, ასევე ნატო-ში აშშ-ის მუდმივ წარმომადგენელთან კეი ბეილი ჰაჩისონთან განიხილა. ლევან იზორიამ ორმხრივი შეხვედრები ბრიუსელში, ნატო-ს თავდაცვის მინისტერიალის პარალელურად, ალიანსის შტაბბინაში გამართა.

კოლეგებთან საუბრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას შავი ზღვის უსაფრთხოება და რეგიონში სტაბილურობის გაძლიერების მიზნით, მრავალეროვნულ სწავლებებში ჩართულობის ინტენსიფიკაცია წარმოადგენდა.

„იყო ასევე განხილული შესაძლებლობა, რომ როტაციული პრინციპით სხვადასხვა ქვეყნის საბრძოლო მზადყოფნის ხარისხის შეფასება, ტრენინგების საფუძველზე, ჩვენი ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოხდეს“, - განაცხადა ლევან იზორიამ ალიანსის შტაბბინაში გამართული ორმხრივი შეხვედრების შეჯამებისას.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია და საქართველო

15 - 17 თებერვალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციას დაესწრო. საქართველოს დელეგაციას საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ხელმძღვანელობდა. მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხების განსახილველად მსოფლიოს წამყვანი ფორუმია. ყოველწლიურად კონფერენციაზე გადაწყვეტილების მიმღები პირები, სახელმწიფოს ლიდერები, საგარეო და თავდაცვის მინისტრები, დიპლომატები, სამხედრო ლიდერები, პარლამენტარები, ექსპერტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები იკრიბებიან და გლობალური უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებზე მსჯელობენ.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ოფიციალური გახსნის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის მინისტრმა აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოვალეობის შემსრულებელთან, პატრიკ შანაჰანთან გამართეს შეხვედრა.

„ლიდერებმა თავდაცვის საკითხების ფართო სპექტრი განიხილეს, მათ შორის, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია, შავი ზღვის უსაფრთხოების მხარდაჭერა და თავდაცვის რეფორმის პროგრესი. ისინი შეთანხმდნენ, რომ გააგრძელებენ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას საქართველოს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნის და ნატო-სთან ურთიერთთავსებადობის ასამაღლებლად.

მდივანმა შანაჰანმა მადლობა გადაუხადა მინისტრებს ავდანეთში, ნატო-ს მტკიცე მხარდაჭერის მისიაში საქართველოს უდიდესი ძალისხმევისთვის და საქართველო მოიხსენია, როგორც ერთ სულ მოსახლეზე უმსხვილესი და საერთო ჯამში, რიგით მეოთხე კონტრიბუტორი ქვეყანა“. (პენტაგონის პრეს-სპიკერი - ერიკ პაჰონიმ).

კონფერენციის პარალელურად, დაგეგმილი ორმხრივი შეხვედრები გაიმართა ბრიტანელ და ლატვიელ კოლეგებთან. ღონისძიების მეორე დღეს ლევან იზორია გერმანიის თავდაცვის მინისტრის, ურსულა ფონ დერ ლაიენის სახელით სპეციალურად თავდაცვის მინისტრებისთვის გამართულ ლანჩს დაესწრო. ამავე დღეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ევროპაში აშშ-ის არმიის მეთაურს, გენერალ კრისტოფერ კავოლის შეხვდა.

საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის მზარდი დინამიკა, რეგიონული და გლობალური უსაფრთხოების საკითხები, გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე, ასევე პრაქტიკული მხარდაჭერა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში - ის ძირითადი საკითხები იყო, რაზეც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ და გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის მდივანმა გევინ უილიამსონმა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში გამართულ ორმხრივ შეხვედრაზე იმსჯელეს.

ლევან იზორიამ ბრიტანელ კოლეგასთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა თავდაცვის სფეროში არსებული წარმატებული პარტნიორობა, განსაკუთრებით განათლების, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებებით, ასევე ხაზი გაუსვა უორდროპის დიალოგის მნიშვნელობას, რაც მიღწეული პროგრესის მიმოხილვისა და თანამშრომლობის ახალი სფეროების დასახვის შესანიშნავ ფორმატს წარმოადგენს. შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო ასევე, ზაფხულში საქართველოში დაგეგმილი მრავალეროვნული სწავლება „Agile Spirit 2019“, სადაც გაერთიანებული სამეფოს სამხედრო კონტინგენტის ჩართულობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ასევე, საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ბრიტანელ კოლეგას მიაწოდა ინფორმაცია თავდაცვის ძალებში გატარებული რეფორმების, ნატოში გაწევრიანების კუთხით გადადგმული ნაბიჯების, მათ შორის ახალი - სტრატეგიული მზადყოფნის მიდგომის განვითარებისა და ტოტალური თავდაცვის კონცეფციის შემუშავების შესახებ.

თავდაცვის სფეროში ბრიტანულ-ქართული თანამშრომლობის დინა-



მიკიდან გამომდინარე, მინისტრებმა განმეორებითი ორმხრივი შეხვედრის პერსპექტივაზე ისაუბრეს. გვინ უილიამსონი მზადყოფნით შეხვდა შეხვედრის საქართველოში ჩატარებას.

საერთაშორისო ფორუმის მეორე დღეს ლევან იზორია ლატვიის ახლადდანიშნულ თავდაცვის მინისტრს, არტის პაბრიკსს შეხვდა. შეხვედრის დასაწყისში თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა ლატვიელ კოლეგას თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და ლატვიის მთავრობის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე ძლიერი და ურყევი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მხარეებმა ორ ქვეყანას შორის თავდაცვის სფეროში არსებული თანამშრომლობა მიმოიხილეს და ყურადღება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელების პროცესში მიღწეულ პროგრესზე გააამახვილეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლატვიის მხარეს მადლობა გადაუხადა აღნიშნული პაკეტის ფარგლებში განსაზღვრული შესყიდვებისა და საზღვაო უსაფრთხოების ინიციატივების ხელმძღვანელობისათვის და ასევე, ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნებისა და შეფასების ცენტრის (JTEC) განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის. განსაკუთრებით აღინიშნა შესყიდვების ინიციატივის განხორციელების წარმატებული დინამიკა და ლატვიის მხარის აქტიური მხარდაჭერა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის შესყიდვების საკანონმდებლო რეფორმის პროცესში. ლატვიის აქტიური ჩართულობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინიციატივითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებით. ჯგუფი ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში გამოყოფილი ლატვიელი ექსპერტის დახმარებით, მარტში დაასრულებს მუშაობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის შესყიდვების მარეგულირებელ კანონზე, რომელიც ქვეთავის სახით ინტეგრირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში და ზაფხულის სესიაზე დასამტკიცებლად გადაეგზავნება პარლამენტს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ლატვიის მხარეს გამჭვირვალე და ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი შესყიდვების პროცესების განვითარებაში აქტიური ჩართულობისათვის. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მრავალ ასპექტზეც.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ევროპაში აშშ-ის არმიის მეთაურთან, გენერალ-ლეიტენანტ კრისტოფერ კავოლისთან ორმხრივი შეხვედრა გამართა.

ლევან იზორიამ ამერიკელ გენერალს საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციის შესახებ სიახლეები გააცნო და ყურადღება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის მიმდინარეობაზე გააამახვილა. მინისტრმა, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის შემდეგ ორმხრივი თანამშრომლობის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტის - საბრძოლო მომზადების ცენტრის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და განსაკუთრებით გამოყო ამერიკული მხარის მხარდაჭერა ცენტრის განვითარებაში. როგორც ლევან იზორიამ განაცხადა, იგეგმება საბრძოლო მომზადების ცენტრის კიდევ უფრო გაფართოება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განახლება ვაზიანში, კრწანისში, ალგეთსა და ნორიოში, რომელსაც მზადყოფნაზე ორიენტირებული წვრთნებისთვის საქართველოს თავდაცვის ძალებთან ერთად, ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებიც გამოიყენებენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს შეეხო მრავალეროვნულ სწავლებებზე. როგორც ლევან იზორიამ აღნიშნა, მომავალ თვეში საქართველო მეორედ უმასპინძლებს „ნატო-საქართველოს სწავლება 2019-ს“, რაც საქართველოს გაძლიერებული შესაძლებლობებისა და მოკავშირეების მხრიდან ქვეყნის მიმართ სანდოობის გაზრდის კიდევ ერთი დემონსტრირებაა. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს ასევე, საქართველოში ზაფხულში დაგეგმილ მრავალეროვნულ სწავლებაზე „Agile Spirit 2019“, რაც უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებისთვის საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს და ტოტალური თავდაცვის პოლიტიკის ნაწილია.

ნატოსთან თანამშრომლობაზე საუბრისას ლევან იზორიამ ახალ მიდგომაზე - სტრატეგიულ მზადყოფნაზე გაამახვილა ყურადღება, რაც მიზნად ისახავს მდგრადი ტერიტორიული თავდაცვითი ძალების განვითარებას ნატოს სტანდარტების შესაბამისად.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ლევან იზორია, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციის ფარგლებში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ ურსულა ფონ დერ ლაიენის სახელით, სპეციალურად თავდაცვის მინისტრებისათვის გამართულ ლანჩს დაესწრო.

საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა გერმანელ კოლეგას გერმანული მხარის მიერ საქართველოს თავდაცვის ძალების მრავალწლიანი პრაქტიკული მხარდაჭერისა და მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური დახმარებისათვის მადლობა გადაუხადა. ლევან იზორიამ ხაზგასმით აღნიშნა ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებებს შორის არსებული საკმაოდ მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობა და იმედი გამოთქვა, რომ იგი მიმდინარე წლიდან კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ინტენსიური გახდება.

ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ფარგლებში გერმანული მხარის დახმარების მნიშვნელობაზე. საუბარი ასევე შეეხო მტკიცე მხარდაჭერის მისიაში ერთობლივი მონაწილეობის, საერთაშორისო სწავლებებში გერმანელი სამხედროების აქტიური ჩართულობისა და სამხედრო განათლების მიმართულებით თანამშრომლობის საკითხებს.

„მინისტრის პირისპირ“ პროექტის ფარგლებში ლევან იზორია ჟურნალისტებს შეხვდა

„მინისტრის პირისპირ“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალი პროექტია, რომლის ფარგლებშიც, თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი, 2019 წლის განმავლობაში მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტთა წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს. ლევან იზორია უკვე შეხვდა ჟურნალისტებს, მათ მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმები გააცნო და საზოგადოებისთვის აქტუალურ კითხვებს უპასუხა.

თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებთან შეხვედრა ტოტალური თავდაცვის მნიშვნელობაზე საუბრით დაიწყო და განმარტა, რომ აღნიშნული კონცეფცია, ქვეყნის თავდაცვის ამოცანების განხორციელებაში, ეროვნული რესურსების ჩართულობასა და ინტენსიურ უწყებათაშორის თანამშრომლობას გულისხმობს „ამ მიმართულებით გასულ წელს ბევრი ნაბიჯი გადავდგით. წელს ვგეგმავთ ტოტალური თავდაცვის სისტემის კიდევ უფრო გაძლიერებას, როგორც პროფესიული ჯარის ორგანიზების, ისე ახალი რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის გაძლიერებით. ასევე, ვგეგმავთ 2019 წელს საზოგადოებას ეროვნული თავდაცვის სტრატეგია წარვუდგინოთ, რომლის საფუძველზეც ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა შემუშავდება. ტოტალური თავდაცვის სისტემის განმტკიცების მიზნით ჩავატარებთ სწავლებას „დიდგორი 2019“, რომელიც გასული წლის მსგავსად, უმაღლესი სტრატეგიული დონის ხელმძღვანელი პირებისა და საერთაშორისო პარტნიორების აქტიურ ჩართულობით გაიმართება“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, უწყება აქცენტს ახალი საბრძოლო მოქმედების ტაქტიკაზე აკეთებს, რომელიც საბრძოლო შესაძლებლობების განვითარებას, დანაყოფების მობილურობასა და მათი ავტონომიურობის ხარისხის გაზრდას ითვალისწინებს. „ეს ყოველივე დღის წესრიგში აყენებს თავდაცვის ძალებში ახალი კულტურის დამკვიდრებას, კერძოდ კი, ამოცანით მართვის პრინციპის განხორციელებას, რაც, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ ადგილზე ცალკეულ დანაყოფებს, ცენტრალიზებული მართვის პირობებში, ჰქონდეთ დეცენტრალიზებული აღსრულების, ანუ მეტი ავტონომიის შესაძლებლობა. ასევე, ავტონომიურად მოქმედების უნარი კრიზისულ სიტუაციებში, ცალკეულ ვითარებაში, როდესაც კომუნიკაციის შესაძლებლობა ცალკეულ დანაყოფებთან არის შეუძლებელი“, - განმარტა ლევან იზორიამ.

უწყებამ თავდაცვის ძალების დაკომპლექტების პოლიტიკაც შეცვალა. როგორც მინისტრმა ჟურნალისტებთან განმარტა, გამარტივდა ის მოთხოვნები, რომლებსაც თავდაცვის სამინისტრო თავდაცვის ძალებში ჩარიცხვის მსურველებს უყენებდა. კერძოდ, სამედიცინო კომისიის გავლის შემდეგ მსურველები პირდაპირ ჩაირიცხებიან საწყის საბრძოლო მომზადების კურსზე. ფიზიკური მომზადების ტესტებს კი ადგილზე გაივლიან. „ვამარტივებთ სტანდარტებს ფიზიკური მოთხოვნის კუთხით. პიროვნებას საბრძოლო მომზადების გავლის პერიოდში ექნება შესაძლებლობა დახვეწოს, მიაღწიოს ფიზიკური მომზადების სტანდარტს და გახდეს თავდაცვის ძალების წარმომადგენელი. რაც შეეხება საბუთებს, თუ ამ დრომდე საბუთების ჩაბარება მხოლოდ ერთ ლოკაციაზე იყო შესაძლებელი, დღეს ექვსი ლოკაციაა გამოყოფილი. აღნიშნული ცვლილებები კი თავდაცვის ძალებში მეტი დაინტერესებული პირის მიღებას შეუწყობს ხელს“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრმა ვრცლად ისაუბრა საჰაერო თავდაცვისა და ავიაციის შესაძლებლობების განვითარების მნიშვნელობაზე. როგორც უწყებაში განმარტეს, საჰაერო თავდაცვის მიმართულებით, საქართველო საფრანგეთთან თანამშრომლობის მეორე ეტაპზე გადავიდა. ფრანგულ მხარესთან გაფორმდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომლითაც გაგრძელდება საჰაერო თავდაცვის სისტემების შესყიდვა. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში კი, თავდაცვის უწყება 7 ერთეული 1 ტიპის ვერტმფრენის მოდერნიზებას გეგმავს.

ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს პროგრამას ჯავშანსაწინააღმდეგო სისტემების შესყიდვის მიმართულებით და გეგმავს „ჯაველინის“ გამშვები სისტემის, რაკეტებისა და საწვრთნელი საშუალებების შეძენას. რაც საქართველოს თავდაცვის ძალებს შესაძლებლობას მისცემს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მოწინააღმდეგის შეჯავშნულ ფორმირებებს. „ჩვენ ეს პროცესი 2018 წელს „ჯაველინების“ შესყიდვით დავიწყეთ და წელს ამ შესყიდვას ვასრულებთ სრულად. შესაბამისად, ჩვენი ქვედანაყოფები აღიჭურვებიან თანამედროვე ტიპის ანტისატანკო „ჯაველინების“ სისტემით“, - განმარტა ლევან იზორიამ.

თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების მნიშვნელობაზე საუბრისას თავდაცვის მინისტრმა აქცენტები საინჟინრო შესაძლებლობებზე გააკეთა. ლევან იზორიას განმარტებით, თანამედროვე საბრძოლო საინჟინრო მოთხოვნების გათვალისწინებით, უწყებაში განხორციელდა რეორგანიზა-

ცია, რათა აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობების ფარგლებში საინჟინრო ბატალიონები თანაბრად ყოფილიყო წარმოდგენილი.

ლოჯისტიკა კვლავ რჩება თავდაცვის უწყების ერთ-ერთ პრიორიტეტად. ცნობილია, რომ თავდაცვის სამინისტროში გასული წელი ლოჯისტიკის წლად იყო გამოცხადებული. ამ მიმართულებით 2018 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. „ჩვენ დავიწყეთ მნიშვნელოვანი ინიციატივები და ვაგრძელებთ მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მხარდამჭერი საბრძოლო და უზრუნველყოფის ქვედანაყოფების გაძლიერებას. მნიშვნელოვანია, მეტი მობილურობის უზრუნველყოფა, რათა ცალკეული საბრძოლო მასალებისა თუ საბრძოლო ნივთების ადგილზე მიწოდება, ხდებოდეს დროულად“,- განმარტა თავდაცვის მინისტრმა.

არსებული კიბერსაფრთხეებიდან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ აქცენტებს კიბერუსაფრთხოებაზე აკეთებს. როგორც ლევან იზორიამ ჟურნალისტებთან განმარტა, წელს უწყება სრულფასოვანი კიბერსტრატეგიის შემუშავებას გეგმავს. „სიმბოლურად 2019 წელს ჩვენ კიბერუსაფრთხოების წელი ვუწოდეთ. ამით სრულ თანხვედრაში ვართ ნატოს მიერ განსაზღვრულ სტრატეგიულ პრიორიტეტულ მიმართულებებთან. გამომდინარე იქიდან, რომ როგორც ნატოს წევრი, ისე პარტნიორი ქვეყნები კიბერსფეროს განიხილავენ, როგორც ერთ-ერთ ოპერატიულ განზომილებას - საჰაერო სივრცესთან, ხმელეთთან და ზღვასთან ერთად, კიბერუსაფრთხოებას ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა და შესაბამისად, ჩვენ წელს წარვდგებით ახალი სტრატეგიით, სადაც განსაზღვრული იქნება კიბერუსაფრთხოების მნიშვნელოვანი პრიორიტეტები“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის ძალების განათლება და წვრთნები მშვიდობიანობის დროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. 2019 წლის განმავლობაში, თავდაცვის ძალებში ქმედუნარიანობისა და წვრთნების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყურადღება გამახვილდება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ფარგლებში შეძენილი გამოცდილების გააზრებასა და დანერგვაზე. 2019 წლიდან საბრძოლო მომზადების ცენტრის (CTC) შესაძლებლობების გაუმჯობესების ფარგლებში, განახლდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა ვაზიანში, კრწანისში, ალგეთსა და ნორიოში, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალებთან ერთად ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებიც გამოიყენებენ.

საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP) ძალიან წარმატებით ხორციელდება, უკვე ორმა ქვეითმა ბატალიონმა გაიარა შესაბამისი მომზადება. წელს კი დამატებით სამი ქვეითი ბატალიონი გაივლის მომზადებას. ამ პროგრამით მიღებული გამოცდილება გვაძლევს თავდაცვის ძალების სამხედრო განათლებისა და წვრთნების განვითარების შესაძლებლობას. იცით, რომ 2013 წელს ჩვენ შევქმენით რეგიონში უპრეცედენტო, ნატოს სტანდარტების შესაბამისი საბრძოლო მომზადების ცენტრი (CTC) ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, აშშ-სთან ერთად. წელს ვგეგმავთ მისი შესაძლებლობების გაფართოებას. უნდა აღვნიშნო, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში აშშ-ის ასეული თავისი საბრძოლო მომზადების შეფასების მიზნით, სწავლებს და წვრთნებს, სწორედ, ვაზიანისა და ნორიოს სამხედრო ბაზებზე ახორციელებდა“, - განაცხადა ლევან იზორიამ.

სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური და სახელფასო პირობების გაუმჯობესება თავდაცვის სამინისტროს პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ლევან იზორიამ ჯარისკაცების ბინებით უზრუნველყოფის საკითხზე ისაუბრა და განმარტა, რომ 2020 წლამდე, ეტაპობრივად ყველა ის სამხედრო მოსამსახურე მიიღებს ბინას, რომელთა წინაშეც თავდაცვის სამინისტროს ბინით უზრუნველყოფის ვალდებულება აქვს აღებული. „რაც შეეხება სახელფასო უზრუნველყოფას, აღსანიშნავია, რომ 2016 წლიდან დაიწყო და 2019 წელსაც გაგრძელდება ხელფასების ზრდის ტენდენცია. წელს ხელფასების ზრდა 7616 სამხედრო მოსამსახურესა და 1323 ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს შეეხება. საქართველოს მზადყოფნის პროგრამაში ჩართული ყველა დანაყოფის სამხედრო მოსამსახურეს, წოდების გათვალისწინებით 100 ლარიდან 500 ლარამდე გაეზრდება ხელფასი. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ სრულად მოვიცვათ თავდაცვის ძალები და ყველა სამხედრო მოსამსახურეს ჰქონდეს, ამ პრინციპის საფუძველზე, გაუმჯობესებული სახელფასო უზრუნველყოფა“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

თავდაცვის მინისტრმა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ნატო-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკა უპრეცედენტოა. „წელს ეს თანამშრომლობა იღებს ფართომასშტაბიან ხასიათს. კიდევ უფრო მეტი ნატო იქნება საქართველოში. ვგეგმავთ ამბიციურ სწავლებებს, რომლებიც მარტში ჩატარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში მსგავსი ტიპის სწავლებებს სრულად უხელმძღვანელებს თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი რგოლი. როგორც ამ სწავლების დაგეგმარება, ისე აღსრულების პროცესი მთლიანად იქნება ქართული თავდაცვითი ძალების პროგრამატივა და პასუხისმგებლობა, რაც კიდევ ერთხელ არის დასტური და აღიარება იმისა, რომ ჩვენ ნატოსთვის სანდო პარტნიორი ვართ. ამ აღიარების დასტურია სტრატეგიულ დონეზე დაგეგმილი ვიზიტებიც, რომლებიც 2019 წელს შედგება. უკვე დაანონსდა მარტში, ბატონი ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში. ასევე ველოდებით სამხედრო კომიტეტის ვიზიტს. უნდა აღვნიშნო, რომ ეს დინამიკა არის უპრეცედენტო, შეუქცევადი და მზარდი. ამას ასევე მოწმობს ჩვენი მოსახლეობის განწყობა, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ნატოში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის ურყევობას, იმ ისტორიული არჩევანის მხარდაჭერას, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ გააკეთა. რა თქმა უნდა, თავდაცვის სამინისტრო, თითოეული თავდაცვის ძალების წარმომადგენელი ძალღონეს არ დაიშურებს იმისთვის, რომ ეს ინტეგრაციის პროცესი იყოს უფრო მტკიცე და ჩვენი მზადყოფნის ხარისხი იყოს უფრო მაღალი. ჩვენს ამ პოლიტიკას სიმბოლურად სტრატეგიული მზადყოფნის პოლიტიკა ვუწოდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველდღე საქართველო მზად უნდა იყოს ნატოში გაწევრიანებისთვის. ასე რომ, 2019 წელი იქნება ჩვენი თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების, ნატოსთან დაახლოების და ჩვენი სტრატეგიული მზადყოფნის ამაღლების წელი“, - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

საჩხერის სამთო მომზადების სკოლა

მაღალი, მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები, ქედები, მთები, გორაკ-ბორცვები, ვაკეები, დაბლობები - ეს საქართველოა და მისი რელიეფი მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია. სწორედ ბუნებრივი რელიეფური მდგომარეობა უწყობს ხელს საქართველოში სამთო მომზადების სწავლებების ჩატარებას.

პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა სწორედ ის ადგილია, სადაც კვალიფიციური, პროფესიონალი და საფრანგეთში გადამზადებული ქართველი ინსტრუქტორებით დაკომპლექტებული გუნდი მუშაობს. აღსანიშნავია, რომ ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედროებს, სამთო უნარ-ჩვევების დახვეწაში ქართველი ინსტრუქტორები ეხმარებიან. აქ სწავლებები სხვადასხვა უწყების თანამშრომლებსაც უტარდებათ. კურსზე მიღების ერთ-ერთი კრიტერიუმი მსმენელის ფიზიკური გამძლეობაა.

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ კავკასიონზე, ხდის ხეობაში, კიბიშის უღელტეხილზე მდებარე (ზღვის დონიდან 3700 მეტრი) უსახელო მწვერვალი პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ინსტრუქტორებმა კაპიტანმა ამირან ნიგურიანმა, სერჟანტმა ზაზა ზამბახიძემ, უმცროსმა სერჟანტმა გელა მაჭარაშვილმა მთასვლელებთან და სტუდენტებთან ერთად დალაშქრეს. უსახელო მწვერვალს ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას სახელი მიენიჭა. ალპინიადაში მონაწილეები საქართველოს ოლიმპიური კომიტეტში საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს. ეროვნული ალპინიადა 2018 წლის სექტემბერში ჩატარდა.

სამთო მომზადების სკოლის კურსები

საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში სხვადასხვა სახის სამთო მომზადების კურსები 2010 წლიდან ტარდება. ქართველმა ინსტრუქტორებმა 24 ქვეყნის, მათ შორის ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეებს ჩაუტარეს კურსები. ესენია:

- საბაზისო სამთო მომზადების ზამთრის და ზაფხულის კურსი
- შუაღედური მომზადების ზამთრის და ზაფხულის ტაქტიკურ-ტექნიკური კურსი
- მაღალი მთის ჯგუფის უფროსის სამთო მომზადების ტაქტიკურ-ტექნიკურ კურსი

2019 წელს იანვარ - თებერვალში 3 სამთო მომზადების კურსი ჩატარდა. ერთ-ერთი „შუალედური სამთო მომზადების ზამთრის კურსი“ იყო, რომელიც გუდაურში, ნატოს პროექტის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში (PFP) განხორციელდა. მასში 14 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა, მათ შორის 3 ქართველი, 2 ლატვიელი, 1 ბელარუსი, 1 აზერბაიჯანელი და 7 უკრაინელი იყო. ქართველ ჯარისკაცებთან ერთად ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან ჩამოსულ სამხედროებს თოვლიან რელიეფზე და გაუკვალავ თოვლში ჩაბმული სრიალი, ზვავში მოყოლილი ადამიანის ძებნა, გადარჩენა და ევაკუაცია, უახლოეს სამედიცინო პუნქტამდე მიყვანა, თოვლში თავშესაფრის მოწყობა და ღამის გათენება, ზვავსაშიშ ადგილებში თოვლის საფარის შემოწმება, ზვავის რისკების დადგენა და სხვადასხვა სახის დაბრკოლების გადალახვა უწევდათ. ამჟამად ბაკურიანში „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში (PFP) „სამთო მომზადების ზამთრის საბაზისო კურსი“ მიმდინარეობს, რომელიც 8 მარტს დასრულდება. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს, ლატვიის, ესტონეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთის, უკრაინის, ბელორუსიის, აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეები.

რაც შეეხება ზაფხულის სწავლებებს, კურსების განმავლობაში მსმენელები სამხედრო ალპინისტურ უნარ-ჩვევებს, ასევე მაღალ მთაში სროლის წესებს სწავლობენ, რის შემდეგაც შემაჯამებელი ტესტირებები უტარდებათ და კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები და სამკერდე ნიშნები გადაეცემათ.

იყო შემთხვევა, როცა სამთო სწავლებისას ქართველმა ინსტრუქტორმა ნაპრალში ჩავარდნილი პოლონეთის მოქალაქე გადაარჩინა. ერთ-ერთი პრაქტიკული მეცადინეობისას, როცა ჯგუფი მყინვარიდან ეშვებოდა, შემთხვევით პოლონეთის მოქალაქე შეხვდათ, რომელიც დახმარებას ითხოვდა. მარკოზ ნოზაძე ის ადამიანი აღმოჩნდა რომელმაც პოლონეთის მოქალაქე გადაარჩინა.

„პოლონელი მანდილოსანი ჩავარდა ნაპრალში რომლის სიმაღლე 25 მეტრზე მეტი იყო. მისმა მეუღლემ ვერ ამოიყვანა და დახმარებას ითხოვდა, მე ვიყავი ის ბედნიერი ადამიანი, რომელმაც სხვისი სიცოცხლე გადაარჩინა. დაზარალებული ნაპრალიდან ამოვიყვანე და უვნებლად ჩამოვიყვანე. სწორედ ამისთვის მე მომცეს ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებისთვის მედალი“, - აღნიშნა უფროსმა სერჟანტმა მარკოზ ნოზაძემ.

სამთო მომზადების სკოლას ნატოს პარტნიორობა მშვიდობისთვის წვრთნებისა და განათლების ცენტრის სტატუსი (PTEC) მიენიჭა - განვითარების შემდგომი ეტაპები

2010 წლის აპრილში საჩხერის სამთო მომზადების სკოლას ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის წვრთნებისა და განათლების ცენტრის სტატუსი (PTEC) მიენიჭა. „რაც სტატუსი მივიღეთ 2010 წლიდან სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. ინსტრუქტორები უცხო ენის ცოდნის ასამაღლებელ კურსებს ეტაპობრივად გადიან.

ნატოს სამხედრო განათლების ცენტრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებს, სადაც ნატოს და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები სხვადასხვა სახის მომზადებას გადიან. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ცენტრი სამთო მიმართულებით. იმ 24 ქვეყნიდან რომელთა სამხედრო მოსამსახურეებმაც ჩვენთან კურ-

სი გაიარეს, აქედან 16 ნატოს წევრი ქვეყანაა,“- აღნიშნა ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ გოლეთიანმა.

სამთო მომზადების სკოლის მიზანი და 2019 წლის გეგმები

ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ გოლეთიანმა სამთო მომზადების სკოლის სამომავლო მიზნებზეც ისაუბრა. „სამთო მომზადების სკოლის მიზანს, წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, ასევე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების სამთო მიმართულებით მომზადება-გადამზადება. მომავალ გეგმებს რაც შეეხება, გვინდა განვავითაროთ სამთო ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადების ზამთრის კურსი, რომელზეც დაწყებული გვაქვს მუშაობა და დაგეგმარების ფაზაში ვართ. ხოლო რაც შეეხება სამთო ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადების ზაფხულის კურსს, აღნიშნული კურსი უკვე პირველად გასულ წელს ჩატარდა და მიმდინარე წელსაც დაგეგმილია რამდენიმე კურსის ჩატარება საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეებთან“.

საფრანგეთის როლი სამთო მომზადების სკოლის განვითარებაში

სამთო მომზადების სკოლის განვითარების პროცესში საფრანგეთმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. 2005 წელს ქართულმა და ფრანგულმა მხარეებმა ხელი მოაწერეს, 2006-2007 წლების, ორმხრივი თანამშრომლობის გეგმას, რომლის ფარგლებშიც საფრანგეთი ქართველი ინსტრუქტორების გადამზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული. „წლები დასჭირდა აღჭურვილობის და ინსტრუქტორების კვალიფიციურ მომზადებას. ამ ყველაფერში დაგვეხმარა ფრანგული მხარე. 2009 წლიდან სხვა ფაზაზე გადავედით და ჩვენი ინსტრუქტორები წელიწადში რამდენჯერმე დადიან სხვადასხვა დონის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე საფრანგეთში“. - აღნიშნა საჩხერის სამთო მომზადების სკოლის მეთაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ გოლეთიანმა.

საჩხერის სამთო მომზადების სკოლის ისტორია

სასწავლებელი საჩხერის მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის ბაზაზე შეიქმნა, რომელიც 1991 წლის 1 ივლისს, პოლკოვნიკმა ბესიკ ქუთათელაძემ ჩამოაყალიბა. პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა 2006 წლის 17 თებერვალს ამჟამინდელი სახით დაარსდა. სკოლის დარსებასა და აღმშენებლობაში უდიდესი წვლილი მიუძღვის გენერალ სამსონ ქუთათელაძეს, რომელიც იყო ამ იდეის სულის ჩამდგმელი და მთავარი ინიციატორი. მან საკუთარი შრომა და ენერგია არ დაიშურა, რომ სასწავლებელი დღევანდელი სახით ერთ-ერთ წარმატებულ ქვედანაყოფად ჩამოყალიბებულიყო. მანვე 2005 წლიდან დაამყარა ურთიერთობები საფრანგეთის სამთო სკოლასთან და საქართველოში მოიწვია ფრანგი ექსპერტები და ინსტრუქტორები, რამაც უდიდესი როლი ითამაშა და დასაბამი მისცა ქართულ ფრანგულ ურთიერთობებს სამთო მიმართულებით. აღნიშნული თანამშრომლობა დღესაც წარმატებით მიმდინარეობს.

ამჟამად პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას ექვემდებარება.

2019 წლის 17 თებერვალს საჩხერის სამთო მომზადების სკოლას 13 წლის იუბილე შეუსრულდა.

პატარა საქართველო ცენტრალურ აფრიკაში

ევროკავშირის საერთაშორისო მისია და ეროვნული გვარდიის ოცეული

სამშობლოდან და ოჯახისგან შორს, სხვა კონტინენტზე გაძლება რთულია, მაგრამ საქართველოს და მსოფლიო უსაფრთხოების სადარაჯოზე დგომა ნებისმიერ წერტილში ღირსების ტოლფასიაო, ამბობენ ქართველი ჯარისკაცები. გარდა იმისა, რომ ევროკავშირი დადებითად აფასებს ქართველი სამხედრო მოსამსახურეების კონტრიბუციას სამშვიდობო მისიებში და ეს არაერთხელ სიტყვიერი მადლობით, სიგელითა თუ ჯილდოთი გამოუხატავს, ჯარისკაცებისა და საქართველოს მიმართ, ქართველ ჯარისკაცებს საერთაშორისო მისიის შესრულებისას ყოველდღიურად უამრავი რისკი თუ გამოწვევა ხვდებათ. ქართველ მშვიდობისმყოფელებს კი ევროკავშირის მიმართ აღებული ვალდებულება გათავისებული აქვთ, რაც პროფესიონალიზმით, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდამხარ დგომით, საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენით და თანამედროვე სამხედროდ ჩამოყალიბების ძლიერი სურვილით არის განპირობებული.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგიში, საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ოცეული ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში „EUTM RCA“ მონაწილეობს. მანდატის ფარგლებში ქართული ოცეულის მთავარი ამოცანა ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მოტორიზებული პატრულირება, კონვოირება, ადგილობრივი მთავრობის თავდაცვისა და უსაფრთხოების რეფორმის ხელშეწყობაა. გარდა ამისა, ქართველი ჯარისკაცები სამხედრო მოსამსახურეებისა და დედაქალაქ ბანგის მოსახლეობას დაახლოების მიზნით, ხშირად ეხმარებიან ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვების საკვებით, სათამაშოებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით.

სწორედ ერთ-ერთი ასეთი სამხახურებრივი საქმიანობის, სამშვიდობო მისიაში ჩართული მომსახურე პერონალის უსაფრთხოდ გადაადგილების უზრუნველყოფის დროს, ქალის განწირული ყვირილი გაისმა, მას ხალხის ჩოჩქოლი და ადგილობრივ ენაზე უცნაური შეძახილები მოჰყვა. ხმაური ქართველმა ჯარისკაცმა, ეროვნული გვარდიის ქვეითი ოცეულის მეკავშირე კაპრალმა, ლევან სართანიამაც გაიგონა, მიხვდა, რომ ქალი ხალხს საშველად იხმობდა. კაპრალი ქალბატონთან წამიერად გაჩნდა, რომელმაც წყლის აუზისკენ გაიშვირა ხელი. აღმოჩნდა, რომ წყალში ადგილობრივი პატარა ბავშვი ჩავარდნილიყო. კაპრალი დაუფიქრებლად, ტანსაცმლიანი გადაეშვა ბავშვის დასახმარებლად და წყლიდან უვნებელი ამოიყვანა. კაპრალს სიცოცხლის გადარჩენისთვის და თავდადებისთვის გულითადი მადლობა გადაუხადეს. ეს იმ შემთხვევებიდან ერთ-ერთია, რასაც ქართველი ჯარისკაცები მთლიანი მისიის მანძილზე, ყოველდღიურად და მოულოდნელად აწყდებიან. მათი პროფესიონალიზმის ამბავი დედაქალაქ ბანგის მთავრობისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცხო აღარ არის, რადგან საქართველო ევროკავშირის ეგიდით სამშვიდობო მისიებში, ცენტრალურ აფრიკასა და მალიში 2014 წლიდან მონაწილეობს და ამჟამად თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ოცეული რიგით მეორე როტაციას ახორციელებს.

ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის ფარგლებში (CSDP) ევროკავშირის კრიზისების მართვის მისიებსა და სამშვიდობო ოპერაციებში საქართველო 2013 წელს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირთან ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმებით მონაწილეობს. ევროკავშირის მხარესთან შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა CSDP-ის სფეროში თანამშრომლობის სამუშაო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს ორმხრივი პატრნიორობის მიმართულებებსა და მათ განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებებს.

დღეს ისევ ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, ვდგავართ იქ, სადაც უნდა ვიდგეთ!

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ სამხედროებს განსაკუთრებული ადგილი აქვთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ სტატიაში გვსურს გაგაცნოთ სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც, სამოქალაქო განათლების მიუხედავად, ჯარის გარდა სხვა სამსახური არ ჰქონია. დღეს ის თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტის თანაშემწეა. მთავარი სერჟანტის, გიორგი ძებისაშვილის ისტორიიდან შეგვიძლია დავინახოთ თუ როგორ ირეკლავს ადამიანის ცხოვრება საკუთარი სამშობლოს ისტორიას.

ნაძვები

„თითქოს, ჩვეულებრივი აგვისტო იყო - ზოგი ისვენებდა, ზოგი დასვენებას გეგმავდა. ერაყის სამშვიდობო მისიისთვის ვემზადებოდით, როდესაც სამშვიდობო მისია რეალური საბრძოლო მისიით შეგვეცვალა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს IV ქვეითი ბრიგადის მთავარი სერჟანტი ვიყავი. ჩემი პირველი მოვალეობა ბრიგადის პირადი შემადგენლობის მოტივაციაზე ზრუნვა იყო. იმ დილით ქვედანაყოფები ჩამოვიარე, თითოეულ სამხედროს თვალებში ჩავხედე... არასოდეს დამავიწყდება იმ ბიჭების სახეები, ის მოტივაცია, ის ანთებული თვალები“, - ასე იხსენებს აგვისტოს ომს თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტის თანაშემწე, მთავარი სერჟანტი გიორგი ძებისაშვილი.

ახოვან, ძლიერი აღნაგობის სამხედროს, თუ თვითონ არ ახსენა, ვერ შეატყობთ, რომ ომის დროს მძიმე დაზიანება მიუღია. როდესაც ომზე საუბრობს, მსმენელსაც ამოგზაურებს დროსა და სივრცეში - ათი წლის წინ ომის მოწინავე პოზიციებზე...

„ყველამ იცის, რომ IV ქვეითი ბრიგადა მოწინავე პოზიციაზე იყო და თავისი დავალება შეუსრულებელი არ დაუტოვებია. მოწინააღმდეგის საავიაციო შემოტევის შედეგად იქ დაგვეღუპა ყველაზე მეტი ჯარისკაცი, იქ გვყავდა ყველაზე მეტი დაჭრილი, იქ დავიჭერი მეც. როდესაც რუსეთის ავიაციამ დაგვბომბა, ყველაფერი გაყვითლდა, ის მომენტი შენელებულ კადრებად მახსოვს. იქ მაღალი ნაძვები იდგა და მე ამ მაღალი ნაძვების სიმაღლეზე ამაგდო აფეთქების ტალღამ. რამდენიმე წამში ყველანაირი შეგრძნების გარეშე მიწაზე ვიწექი და რეალობას დავუბრუნდი. მეგონა, სისხლისგან ვიცლებოდი, „მამაო ჩვენოს“ ვკითხულობდი... მიუხედავად იმისა, რომ ვუთხარი, დამტოვეთ, დიდი შეტევა იყო მოსაგერიებელი, თანამებრძოლებმა მაინც გამომიყვანეს“, - იხსენებს მთავარი სერჟანტი.

გიორგი ძებისაშვილი მადლობას უხდის თითოეულ ჯარისკაცს - ვინც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაიღუპა, ვინც სამშობლოს ემსახურება, ვინც საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ჩვენი ქვეყნის სახელს იცავს.

საბრძოლო იარა

ახალგაზრდა მთავარ სერჟანტს ექიმები ვერ აიმედებდნენ, თუმცა ის დანებებას არ აპირებდა: „ომის დროს კისრის არეში უმძიმესი ტრავმა მივიღე. ქართველმა ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ფეხზე დავმდგარიყავი. ამაში ჩემი ფიზიკური მონაცემებიც დაგვეხმარა. ერთად გადავიტანეთ ეს ტრავმა“. როგორც კი ფეხზე წამოდგომა შეძლო, სამხედრო სამსახურს დაუბრუნდა.

თანამებრძოლები და თანამოაზრეები დღესაც ხშირად იკრიბებიან ხან მარო მაყაშვილის სახელობის წეროვანის სამხედრო მოსამსახურეების რეაბილიტაციის ცენტრში, ხან - ოჯახებში. დაშავებული სამხედროები ცენტრში პროფესიონალი ექიმების რეკომენდაციით რეაბილიტაციისათვის საჭირო პროცედურებს გადიან, აქ ომგამოვლილი სამხედროები ერთმანეთს მოტივაციას მატებენ.

„ომი, სწავლებები, საერთაშორისო სამშვიდობო მისიები - ამ ყველაფერმა ჩვენ უფრო გამოგვწვრთნა და გაგვაძლიერა. დღეს ისევ ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, ვდგავართ იქ, სადაც უნდა ვიდგეთ!“ - აცხადებს სამხედრო.

გზა

მთავარი სერჟანტი ძებისაშვილი თავდაცვის ძალებში 2001 წლიდან მსახურობს. „რიგითი ჯარისკაცობიდან მთავარ სერჟანტამდე ბევრი საფეხური გავიარე. დღეს სერჟანტთა განვითარების კუთხით უმაღლესი წოდება მაქვს. შესაბამისად, იყო ბევრი სწავლება, საველე წვრთნები, ომი, საზღვარგარეთ სწავლა თუ სამსახურებრივი გამოცდილება...“, - გვეუბნება გიორგი ძებისაშვილი.

სამხედრო მოსამსახურეს დამთავრებული აქვს გერმანიის სამთო ქვეითი მომზადების სერჟანტთა სასწავლებელი. მოგვიანებით, იყო გერმანიასა და შვეიცარიაში საქართველოს სამხედრო ატაშეს თანაშემწე.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში დაშავების შემდეგ იყო რეაბილიტაციის პერიოდი.

გიორგი ძებისაშვილს მიღებული აქვს 2 მედალი საბრძოლო იარისთვის, III, II და I ხარისხის უწყებრივი მედლები „უმწიკვლო სამსახურისთვის“, მედლები: „გენერალი მაზნიაშვილი“ და „სამშობლოსთვის თავდადებული“ და ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენი, რომლითაც ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, თავდადებისა და თავგანწირვისთვის. დღეს ის თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტის თანაშემწეა.

ოჯახი

გიორგი ძებისაშვილს ჰყავს მეუღლე - ინგა ციცქიშვილი და ორი ქალიშვილი - ლიზი და სალომე. „რომ დავიჭერი ახლადშეუღლებული ვიყავი, ლიზი თვე-ნახევრის იყო... სამედიცინო დასკვნები იმედს არ იძლეოდა... მაგრამ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო, ფეხზე დავდექი... 2011 წელს შეგვეძინა მეორე გოგონა - სალომე. თავიდან რომ დაიწყოს ცხოვრება, ალბათ, უფრო ადრე შევქმნიდი ოჯახს. ოჯახი ჩემთვის არის ნომერ პირველი სიწმინდე“, - ამბობს ის და ოჯახთან ერთად გატარებულ თითოეულ წუთს განსაკუთრებით აფასებს. აქვე გვეუბნება, რომ ოჯახთან ერთად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოგზაურობა მისი ჰობია და ამ მხრივ ბევრი გეგმა აქვს.

პატრიოტი

ჩვენი რესპონდენტი ახალგაზრდებს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებას, განათლების მიღებას ურჩევს. ის ფიქრობს, რომ ნებისმიერი ადამიანი, პროფესიის მიუხედავად, რომელიც პირნათლად ასრულებს საკუთარ მოვალეობას, პატრიოტია. სამხედრო საქმე, თითქოს, ხელშესახებად ახლოს დგას პატრიოტიზმთან, ამიტომ მთავარი სერჟანტი სამხედრო მოსამსახურეებს ჯარში მათი როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას, განათლების მიღებას ურჩევს და პროფესიულ გამოთქმას იშველიებს - „სწავლებებზე დაღვრილი ოფლი, ბრძოლის ველზე აბჯრად გადაგეფარებაო“... პატრიოტიზმი მისთვის სახელმწიფოს წინაშე საკუთარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას ნიშნავს.

აკადემია ერთი დიდი ოჯახია

„სულ ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა ჩემი ქვეყნისთვის გამეკეთებინა, როგორც ერთ ადამიანს" - იუნკერი, გიორგი ასათიანი

„აკადემია ერთი დიდი ოჯახია" - ამბობს გიორგი და საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ტერიტორიაზე აღმართულ, მზის სხივებით გამთბარ, ჰაერში თამამად მოფრიალე საქართველოს დროშას ამაყად შეჰყურებს. სწორედ ამ ერთი დიდი ოჯახის წევრი, საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის დამამთავრებელი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სტუდენტი, იუნკერი გიორგი ასათიანია.

საქართველოს მომავალ ჯარისკაცს, ინტერვიუს დაწყებამდე, სახეზე ეტყობა, რომ ქვეყნის სადარაჯოზე ყოფნის თითოეული წუთი მისთვის ბედნიერებაა. თუმცა პატრიოტული მრწამსით გაჟღენთილი თავდაჯერებულობა, რომელიც გიორგი ასათიანისთვის თანმდევია, საოცარი სიამაყის შეგრძნებას დაგიტოვებთ. ასეთი სურათი ძალიან სასიამოვნო სანახავია.

იუნკერი, გიორგი ასათიანი წარმოშობით ლეჩხუმიდან არის, დაიბადა და გაიზარდა ქალაქ თბილისში. როგორც თვითონ ამბობს აქტიური ბავშვი იყო და საქართველოს გამოჩენილი პიროვნებების ბიოგრაფიებს მონდომებით ეცნობოდა, რაც საშუალებას აძლევდა თავისი ქვეყნის ისტორიაზე უფრო მეტი გაეგო. ამიტომაც, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს, საქართველოს ისტორია მისი საყვარელი საგანი გახდა. მან ინტერვიუში, სკოლაში გატარებული წლები გაიხსენა და გვითხრა, თუ რატომ აირჩია სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახეობა, რაგბი - რაგბის ძირითადი არსიც ხომ ერთად დგომა, სამშობლოს სიყვარული, ქართული დროშის დაცვა და ქვეყნის სახელით გამარჯვებაა. უფრო მეტიც, გიორგის გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალი კარიერა პროფესიული რაგბისთვის დაეკავშირებინა და ერთ-ერთ წარმატებულ სარაგბო კლუბის წევრი მოთამაშეც გახდა. ასევე, არ გამორიცხავდა სწავლა იურიდიულის ან ტურიზმის მიმართულებით გაეგრძელებინა. კითხვაზე - რატომ იურიდიული? - გაეღიმა და გვიპასუხა - „ესეც ჩემი ქვეყნის სიყვარულის გამო".

„სულ ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა ჩემი ქვეყნისთვის გამეკეთებინა, როგორც ერთ ადამიანს" - თქვა იუნკერმა და საუბარი ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაბარების შესახებ განაგრძო. მის მონათხრობში, ყველაზე საინტერესო ცხოვრების ის მომენტია, როდესაც სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობამ და ქვეყანაზე ფიქრმა აკადემიამდე მიიყვანა.

პიროვნების ჩამოყალიბებაში სკოლა ძალიან დიდ, ხშირად გადამწყვეტ როლსაც თამაშობს, ასეც მოხდა ახალგაზრდა იუნკერისთვის. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში, 2008 წელს, ლეჩხუმში ვერ წავიდა, უთხრეს გორი დაბომბესო. გაგონილმა ამბავმა შეძრა და დიდი გადატრიალებაც მოახდინა. იფიქრა, საუკეთესო გზა - დამდგარიყო თავისი ქვეყნის მშვიდობის სადარაჯოზე - სწორედ რიგითი ჯარისკაცობა იყო. კითხვაზე, მოახდინა თუ არა გადამწყვეტი როლი მის ცხოვრებაში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა, თავი დაგვიქნია და გვიპასუხა, რომ სამხედრო სამსახური ღირებული იქნებოდა, პირველ რიგში, მისი შვილებისთვის, ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის.

„გენერალი მაზნიაშვილის მოღვაწეობის გააზრება, კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩაბარება სწორი გადაწყვეტილება იყო", გვითხრა გიორგიმ და ხელით იუნკერის ფორმაზე გამოსახულ, საქართველოს თავდაცვის ძალების გერბზე მიგვითითა. მოგვიყვა, რომ ეროვნულ აკადემიაში მოხვედრამდე, გააზრებული ჰქონდა, რომ სწავლა მარტივი არ იქნებოდა და სირთულეების გადალახვა მოუწევდა. ახალგაზრდა იუნკერის თქმით, სირთულეები მოდნომებით, თავისი ოჯახისა და ჯგუფელების მხარდაჭერით დაძლია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს შაბათ-კვირას ნახულობს, მის მეუღლეს გიორგის პროფესია ეამაყება და მის არჩევანს მაქსიმალურად უჭერს მხარს.

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერი, საკმაოდ წარმატებული, მაღალი აკადემიური მოსწრების, აქტიური, ინიციატივების მქონე სტუდენტია. აკადემიაში მოსახვედრად ერთიან ეროვნულ გამოცდებთან ერთად, დამატებით, ფიზიკური მომზადების ტესტი და გასაუბრება გაიარა. ცოტაოდენი ნერვიულობის ფონზე, გასაუბრებაზე მისთვის განკუთვნილ დროს შევიდა. გიორგი გულთბილად მიიღეს და დაძაბულობაც მოეხსნა. „გასაუბრებაზე დიდი მოტივაცია მომცეს, რომ გავმხდარიყავი ჩემი ქვეყნის ჯარისკაცი" - აღნიშნა მან. მალევე შეიტყო, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ახლა კი თამამად აღნიშნავს, რომ აკადემიამ და ლექტორებმა მისი მოლოდინები გაამართლეს.

საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, როგორც მაღალი დონის აკადემიურ და სამხედრო განათლებას, ისე მნიშვნელოვან ფიზიკურ მომზადებას სთავაზობს სტუდენტს. გიორგის შეფასებით, აკადემია ხელს უწყობს ყველა სტუდენტს გახდეს წარმატებული და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო, გაცვლით, სასწავლო პროგრამებში. გიორგიმ სწავლის პროცესში ორი ძალიან მნიშვნელოვანი კურსი გაიარა. ამერიკაში წასვლაზე, ალბათ, თუ იოცნებებდა. აკადემიამ ორკვირიან ინტენსიურ კურსზე, აშშ-ში, სამხედრო აკადემიაში (The U.S. Military Academy at West Point) გაგზავნა. „ვესთ ფოინთის" აკადემია, 2019 წელს საუკეთესო სამხედრო კოლეჯების სიაშია. კურსის ფარგლებში, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, სამხედრო პირებთან ერთად, უცხოელი პროფესორების ლექციებს დაესწრო და აკადემიის სტრუქტურას გაეცნო.

უშუალოდ სამხედრო უნარ - ჩვევების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა „ახლო ბრძოლების" კურსი, ლატვიაში. გიორგი გვიყვება, რომ კურსი საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო იყო, თუმცა ისეთი უნარ-ჩვევები შესძინა, რომლებიც მომავალი ოფიცრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ინტერვიუში გავარკვიეთ, რომ გარდა სწავლისა, აკადემიის კურსანტებს შესაძლებლობა ეძლევათ ლექციების დასრულების შემდეგ თანამედროვედ აღჭურვილი, კეთილმოწყობილი სავარჯიშო დარბაზებით ისარგებლონ: იცურაონ, ითამაშონ ფეხბურთი, კალათბურთი და მათ შორის გიორგის საყვარელი სპორტის სახეობა, რაგბიც კი.

აკადემიაში სწავლამ და ცხოვრებამ მას ბევრი საერთო ინტერესების მქონე ადამიანი შესძინა. ყველაზე მეტად ამ პროცესში იუნკერი თავის ჯგუფელებზე და უკვე ძალიან ახლო მეგობრებზე გვიამბობს... „არ არსებობს პრობლემა, რისი მოგვარებაც ერთმანეთის გვერდით დგომით არ შეგვიძლია".

ინტერვიუს დასასრულს, გიორგი ასათიანი სამომავლო გეგმებს გვიზიარებს. ის, აკადემიის დამთავრების შემდეგ, კრწანისში, თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ სასწავლო ცენტრში, 6-თვიან მოსამზადებელ კურსს გაივლის და საქართველოს თავდაცვის ძალებში, ოცეულის მეთაური გახდება.

მომავალი ლეიტენანტი დიდხანს აღარ შევაყოვნეთ, მადლობა გადავუხადეთ გაწეული სამსახურისთვის. მისმა მონათხრობმა ძალიან მარტივი დასკვნის საშუალებაც მოგვცა. ხშირად, ადამიანებს აშინებთ იმის წარმოდგენა, თითქოს სამხედრო სამსახური რთული რუტინის ფონზე მიმდინარეობს. მსგავსი წარმოდგენის მსხვრევა, მხოლოდ ასეთ, წარმოსადეგ და სანიმუშო ჯარისკაცებს შესწევთ. იგი საქართველოს თავდაცვის ძალების პირადი შემადგენლობის მომავალი სახეა, რომელიც თავისი შრომითა და შემართებით ყოველდღიურად ამსხვრევს მცდარ და მავნე მითებს.

სიყვარული, როგორც ძალა

სიყვარულზე წერა, ძალიან რთულია. მით უფრო ისეთი სიყვარულის ისტორიაზე, რომელიც იმდენად ფაქიზი, იშვიათი და ჰარმონიულია - გიჭირს შეეხო და აღწერო ის უჩვეულო ამბავი, რომელიც ამ ისტორიამ შექმნა. კაპრალი მორის საბაშვილი, თავდაცვის ძალებში 2006 წლიდან მსახურობს. სწორედ, 2006 წელს წავიდა პირველად ერაყის სამშვიდობო მისიაში, იქიდან დაბრუნებულმა, მომავალი მეუღლე, თამარ ფსუტური გაიცნო და დიდი იმედებითა და მოლოდინით სავსე სიყვარულის ამბავიც დაიწყო. შემდეგ, 2008 წლის აგვისტოს ომი იყო, საიდანაც მშვიდობით დაბრუნება შეძლო. თუმცა კაპრალს საბედისწერო დღე ჯერ კიდევ წინ, ორი წლის შემდეგ, ავღანეთში ელოდა

„პირველი, ვისზეც ნაღმზე აფეთქებულმა, ძირს დავარდნილმა გავიფიქრე - ჩემი შეყვარებული თამარი იყო. თითქოს, ყველაფერი თვალწინ დამიდგა და ერთი წამით არ დამიკარგავს გონება. ყველაფერი დაგეგმილი გვქონდა. ავღანეთის მისიიდან დაბრუნების შემდეგ, დაოჯახებას ვგეგმავდით. უბედური შემთხვევა, 2010 წლის 6 სექტემბერს, ჰელმანდის პროვინციაში მოხდა. აფეთქებისას რამდენიმე სამხედრომ მძიმე დაზიანებები მივიღეთ. ეს იყო უმძიმესი დღე; ამ დღეს, უხელფეხოდ დავრჩი“.

ნაღმზე აფეთქების შემდეგ, მორის საბაშვილს არანაკლებ მძიმე, მკურნალობის გრძელი დღეები ელოდა წინ. ჯერ იყო გერმანია, შემდეგ საქართველო და ბოლოს, შეერთებულ შტატებში გავლილი ერთწლიანი სამედიცინო კურსი და პროტეზირება. მთელი ამ ხნის მანძილზე, შეყვარებულთან დაბრუნებისა და დასახული გეგმების ასრულების იმედი არ დაუკარგავს, თუმცა თამარმა ბოლომდე, ჯერ კიდევ არ იცოდა დაჭრილი სამხედროს რეალური ფიზიკური მდგომარეობა.

თამარ ფსუტური: „რა თქმა უნდა ვიცოდი, რომ მორისი დაიჭრა, მაგრამ არ ვიცოდი ბოლომდე რა მდგომარეობაში იყო. ალბათ, ყველაფერს წარმოვიდგენდი იმ უმძიმესი წუთების გარდა, რაც მისი დანახვისას განვიცადე. ახლა, მოსაყოლად თითქოს ადვილია და ამავე დროს სასიამოვნო მოსასმენი ჩვენი სიყვარულის ამბავი, მაგრამ არავის ვუსურვებთ ისეთი მძიმე დღეების გავლას, რაც მე და მორისმა გამოვიარეთ. არასოდეს, არცერთ წამს არ დამდგარა ჩემში ის მომენტი, რომ დავფიქრებულიყავი მორისთან ყოფნაზე. სიყვარული ერთი წუთით არ გამინელა, არ შემაშინა ამ ტრაგედიამ. ეს ორივეს ტრაგედია იყო და გადავწყვიტე ბოლომდე ერთად გავმკლავებოდით მას. როცა მორისი გორის ჰოსპიტალში მკურნალობდა, მე, იქვე, უნივერსიტეტში ვსწავლობდი და ყოველდღე, ლექციების შემდეგ, მის სანახავად გავრბოდი. ამ ამბავმა, უფრო გაგვაძლიერა. დღეს ორი შვილი გვყავს: ანდრია და თომა. მადლობელი ვარ, რომ ასეთი მაგარი ოჯახი გვყავს და ჩვენი სიყვარულიც, სულ მეტად ძლიერი ხდება“

მძიმედ დაჭრილი სამხედრო გვიყვება, რომ ტრავმების მიუხედავად, რაიმე განსაკუთრებული სახის ფსიქოლოგიური დახმარება არ დასჭირვებია. ცხოვრების ჯანსაღ წესს კვლავაც მისდევს - მეტიც, მანქანასაც თავად მართავს და ქალაქში გადაადგილდება. ამბობს, რომ შეუძლებელი არაფერია, მით უფრო, როცა სიყვარული გაძლიერებს. „მთავარი ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ჩემი მეუღლისგან ვიგრძენი. ცხადია, ის რომ არა, ამდენ რამეს, მარტო ვერ შევძლებდი. ყოველთვის გვერდში მიდგას და ერთმანეთს ვამხნევებთ. ერთად უამრავი რამე ვისწავლე, რაც ყველაზე მთავარია, გვყავს ორი შვილი, ვისთვისაც ცხოვრება და თავგანწირვა ღირს. მათი და ერთმანეთის კარგად ყოფნისთვის, ყველაფერს გავაკეთებთ“.

პირველად საქართველოს ისტორიაში - ეროვნული წარმოების შეიარაღების ნიმუშები აბუ-დაბიში, IDEX-2019-ზე გამოიფინა

პირველად საქართველოს ისტორიაში სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურმა ცენტრმა „დელტამ“ ეროვნული წარმოების შეიარაღების ნიმუშები, აბუ-დაბიში, სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვითი მრეწველობის უმსხვილეს გამოფენაზე IDEX-2019-ზე წარადგინა. ქართულ პავილიონზე გამოფენილი იყო „დიდგორი მეომრის“ ახალი, მობილური 120 მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნის მოდული, სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანა „დიდგორი მედევაკი“, მოდიფიცირებული ჯავშანტრანსპორტიორი „დიდგორი“ ორ სიბრტყეში სტაბილიზებული დისტანციური 23 მმ საცეცხლე მოდულით, სნაიპერული შაშხანა AMR MOD 2, ბიკალიბრული უხმაურო ნაღმმტყორცნი „მყუდრო“, მოდერნიზებული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი „რდ-7“, და ინდივიდუალური დაცვის სისტემები. აღნიშნული პროდუქტი ფართო მასებს „დელტას“ გენერალურმა დირექტორმა უჩა ძოძუაშვილმა წარუდგინა.

„მოდული არის ძალიან საინტერესო. მისი ფილის გაზრდილი ფართი იძლევა საშუალებას, რომ მიწასა და იატაკში ჩაფლობის გარეშე განხორციელდეს სროლის სერია. ეს თავისთავად იძლევა საშუალებას ჰიდრავლიკური ძრავის სისტემის მეშვეობით მოხდეს თვითონ ამ მანქანის ძალიან სწრაფი რელოკაცია სროლის დასრულების შემდეგ. სისტემა არის სპეციალურად მორგებული არსებულ ნაღმტყორცნებზე. ფაქტობრივად, არ არის საჭირო ცვლილება ნაღმტყორცნების ამ სისტემაზე დასამონტაჟებლად. ამის მიუხედავად, შესაძლებელია უახლესი სისტემების ინტეგრაციაც. მანქანას ამ რეალიზაციაში აქვს 24 ნაღმის ტარების საშუალება, თუმცა ნაღმების რაოდენობა, მანქანის ტვირთამწეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეზღუდული არ არის. მას აქვს შესაძლებლობა ატაროს 36 ან 48 ნაღმი. ეს დამოკიდებულია იმ ამოცანის სახეზე, რაც მას ექნება შესასრულებელი“, - განმარტა უჩა ძოძუაშვილმა.

მისი განცხადებით ჯავშანმანქანას დიდი კომერციული დაინტერესება მოჰყვა და პოტენციურ შემსყიდველებთან მოლაპარაკების შემდეგ შესაძლოა, მისი დამატებითი მოდიფიცირებაც. გამოფენაზე „დელტას“ გენერალურ დირექტორთან ერთად იმყოფებოდა თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზიც. IDEX -ი ერთადერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამსერვისიანი საერთაშორისო თავდაცვითი მრეწველობის გამოფენა და კონფერენციაა ახლო აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში, რომელიც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვითი მრეწველობის სექტორის დემონსტრირებას ახდენს. გამოფენაზე მონაწილეობას იღებდა თავდაცვითი მრეწველობის მსოფლიოს 1000-ზე მეტი კომპანია.

ლუგარის ცენტრი - რუსული დეზინფორმაციის მორიგი სამიზნე

რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის შესახებ პრო-რუსული საინფორმაციო საშუალებებით უკანასკნელ პერიოდში დაწყებულმა მორიგმა ისტერიამ, დიპლომატიური, საკანონმდებლო და სამხედრო უწყებების შემდგომ, რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ საფეხურს მიაღწია. არსებული სადეზინფორმაციო კამპანია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ კრემლი, საქართველოს და მისი მოკავშირეების დისკრედიტაციისთვის და ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ შემუშავებული ნარატივების გასავრცობად, ნებისმიერ საბაბს იყენებს.

ლუგარის ცენტრის გარშემო განვითარებული ბოლოდროინდელი მოვლენები საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრის, ძებნაში მყოფი იგორ გიორგაძის მიერ, მიმდინარე წლის 11 სექტემბერს, მოსკოვში გაკეთებული განაცხადებით დაიწყო. მას, თითქოსდა, ხელთ ჰქონდა ცენტრში ბიოლოგიური იარაღის შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტები. გიორგაძის თქმით, ცენტრის ლაბორატორიაში ექსპერმენტები შესაძლოა საქართველოს მოქალაქეებზეც განხორციელებულიყო. აღნიშნულ განცხადებას მალევე გამოეხმაურნენ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები: ინფორმაციის და ბეჭდვის დეპარტამენტის დირექტორის, მარია ზახაროვას თქმით, რუსეთი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, გიორგაძის მიერ მოყვანილ „ახალ ფაქტებთან“ დაკავშირებით, ოფიციალურ განმარტებას მოსთხოვდა, ხოლო, შეიარაღების გაუვრცელებლობისა და კონტროლის საკითხების დეპარტამენტის დირექტორის, ვლადიმერ ერმაკოვის სიტყვებით, რუსეთი საკუთარ საზღვრებთან ამერიკელების მიერ ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩატარებას არ დაუშვებდა.

აგრესიული რიტორიკა კიდევ უფრო გაამძაფრა რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის ჯარების მეთაურის, გენერალ-მაიორ იგორ კირილოვის განცხადებამ, რომ საკითხის შესწავლის შედეგად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დასკვნით, ლუგარის ცენტრში ადამიანებზე ბიოლოგიურ ექსპერიმენტებს ატარებდნენ და ცდიდნენ პრეპარატს, რომელსაც მასობრივი ლეტალური შედეგი ჰქონდა. მისივე მტკიცებით, აღნიშნულ პრეპარატს აწარმოებდა კომპანია, რომლის ერთ-ერთი აქციონერი აშშ–ის თავდაცვის ყოფილი მდივანი, დონალდ რამსფელდი იყო. კირილოვის პრესკონფერენციის კვალდაკვალ, რუსეთის სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ვლადიმერ შამანოვმა პირდაპირი მუქარით განაცხადა, რომ რუსეთი მიმართავდა დიპლომატიურ და სამხედრო ზომებს და არ აპირებდა თვალი დაეხუჭა მის სამხრეთ საზღვრებთან მიმდინარე მოვლენებზე.

ლუგარის ცენტრის საკითხზე ბოლოდროინდელი მოვლენების კულმინაციას რუსეთის პრეზიდენტის მიერ, 18 ოქტომბერს, ვალდაის სადისკუსიო კლუბის ფარგლებში გაკეთებული კომენტარი წარმოადგენს. ვლადიმერ პუტინმა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის განცხადება საგანგაშოდ მიიჩნია. მისი თქმით, ძალიან საშიში იყო, თუ ცენტრში მართლაც მიმდინარეობდა გიორგაძის მიერ დასახელებული სამუშაოები, რომლებიც გენეტიკის სფეროში უახლეს მიღწევებს და ისეთი პრეპარატების შემუშავებას უკავშირდებოდა, რომლებსაც ადამიანებზე შეეძლოთ ემოქმედათ, კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კუთვნილების შესაბამისად.

ლუგარის ცენტრის შესახებ არსებული სადეზინფორმაციო კამპანია ნათელი მაგალითია, თუ როგორი მზარდი ინტენსივობით ცდილობს რუსული პროპაგანდა, აღნიშნული დაწესებულების მაქსიმალური დისკრედიტაციის გზით, საქართველოს და მისი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ მტრული საინფორმაციო გარემოს გაძლიერებას. თუმცა, საყურადღებოა, რომ ლუგარის ცენტრი, რომელიც საქართველოსა და აშშ-ს წარმატებული თანამშრომლობის ერთ-ერთი ნიმუშია, პირველად არ გამხდარა რუსული დეზიფორმაციის სამიზნე. რამდენად სწრაფადაც მიაღწია ცენტრის თაობაზე გაჟღერებულმა გზავნილებმა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრიდან რუსეთის პრეზიდენტამდე, იმდენად ორგანიზებულად სპეკულირებს რუსული სიცრუის მანქანა ცენტრის თაობაზე წლების განმავლობაში. ლუგარის ცენტრის მიმართ, პრო-რუსული მედია საშუალებებით, 2013-2018 წლებში, არაერთხელ გაჟღერებულა ცრუ ბრალდებები, მათ შორის რუსეთში ღორის აფრიკული ჭირის და ღორის გრიპის (H1N1) გავრცელება, ზიკას ვირუსის გადამტანი კოღოების და აზიური ფაროსანას გამოყვანა და აფხაზეთში გავრცელება, თუ სირიაში გამოყენებული ქიმიური იარაღის დამზადება.

რუსული ნარატივები, რომლებიც საქართველოს არაჰუმანურ სახელმწიფოდ წარმოჩენას ისახავს მიზნად, ჩვენთვის სიახლეს არ წარმოადგენს. კრემლის საინფორმაციო ომის მანქანას, ყველა არსებული რესურსით, სურს საქართველო შერაცხოს, როგორც დასავლეთისაგან მართული აგრესორი ქვეყანა, რომელსაც აფხაზი და ოსი ხალხის წინაშე სამხედრო დანაშაული აქვს ჩადენილი. ამრიგად, ლუგარის ცენტრის თემაზე ცრუ ბრალდებების ინტენსიური გახმოვანებით, რუსული პროპაგანდა ცდილობს ჩვენს ქვეყანას „დანაშაული დაუმძიმოს“ და ბიოლოგიური იარაღის სამჭედლოდ წარმოსახოს.

რა კონკრეტულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ლუგარის ცენტრის დისკრედიტაცია, საქართველოს ნეგატიური იმიჯის შექმნის გარდა? ფაქტია, რომ რუსეთმა ბოლოდროინდელი სადეზინფორმაციო კამპანია მას შემდეგ გააააქტიურა, როდესაც გაერთიანებულმა სამეფომ მას სკრიპალების მოწამვლაში დასდო ბრალი. საქართველო-აშშ-ს ერთობლივ „ბიოლოგიურ ექპერიმენტებზე“ სპეკულაცია, მომწამვლავი ნივთიერება „ნოვიჩოკის“ გამოყენებაში რუსეთის დადანაშაულებაზე უსუსურ პასუხად შეგვიძლია მივიჩნიოთ, თუმცა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუ რა განვითარება შეიძლება ჰქონდეს ამ პროცესს საქართველოსთვის.

ლუგარის ცენტრის წინააღმდეგ აგორებული სადეზინფორმაციო კამპანია, რომლის გაქარწყლებაც როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, ისე საქართველოში აშშ-ს საელჩოსა და რიგი დასავლური მედიასაშუალებებით დროულად განხორციელდა, ძირითადად, რუსული აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. საქართველოსა და დასავლეთის სახით მტრის ხატის შექმნა, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, სწორედ რუსული საინფორმაციო გარემოს ფორმირებას ემსახურება.

რუსულ საინფორმაციო საშუალებებზე კრემლის გავლენა ურყევია. ასეთ ვითარებაში, ყალბი მტკიცებულებების, ფსევდომეცნიერებისა და სხვა მეთოდების გამოყენებით შექმნილი საინფორმაციო გარემოს წინააღმდეგ მოქმედება სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ნებისმიერი მართებული მოსაზრება, სარწმუნო ინფორმაცია თუ ავთენტური დოკუმენტაცია რუსული პროპაგანდის მიერ, იმთავითვე, წარმოჩინდება, როგორც კონსპირაციის მორიგი დამადასტურებელი საბუთი. შესაბამისად, რუსეთის სამხედრო დოქტრინის გათვალისწინებით, რომელიც მის საზღვრებს გარეთ, საფრთხის არსებობის შემთხვევაში, ძალის გამოყენებას გულისხმობს, ლუგარის თემის ხელახლა აქტიურად წამოწევა და სამხედრო ძალის გამოყენების მუქარის უფრო მაღალი პოლიტიკური საფეხურიდან გაჟღერება დამოკიდებული იქნება საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე და რეგიონში განვითარებულ პროცესებზე.

ქართულ მხარეს სრულად აქვს გაცნობიერებული რუსეთის მზაობა, სამხედრო აგრესიასთან ერთად, ჰიბრიდული მეთოდების გამოყენებით ხელყოს მეზობელი სახელმწიფოების სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. სწორედ ამიტომ, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარებას და პროპაგანდისა და დეზინფორმაციის საწინააღმდეგო ეფექტურ ღონისძიებებს სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება.

რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც სრულ ექსპლუატაციაში 2013 წლის აგვისტოში შევიდა. ლუგარის ცენტრი დაავადებათა ლაბორატორიული ქსელის უმაღლესი დონის დაწესებულებაა, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის რეფერალურ ლაბორატორიას წარმოადგენს.

ცენტრის მშენებლობა დაიწყო 2004 წელს, აშშ-სა და საქართველოს მთავრობებს შორის 1997 წელს ხელმოწერილი ჩარჩო ხელშეკრულების და 2002 წელს, აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული „ბიოლოგიური იარაღის განვითარებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, პათოგენების და გამოცდილების გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების საფუძველზე. 2018 წლიდან, ლუგარის ცენტრის და ლაბორატორიული ქსელის სრულ დაფინანსებას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს.

ცენტრი აერთიანებს თანამედროვე დონეზე აღჭურვილ ბიოუსაფრთხოების მე-2 და მე-3 დონის ლაბორატორიებს, რომელთა მიზანია ადამიანისა და ცხოველთა საშიშ დაავადებათა გამომწვევი პათოგენების დროული აღმოჩენა და იდენტიფიკაცია „ერთიანი ჯანმრთელობის“ პრინციპით. ბიოუსაფრთხოების მე-3 დონის (BSL-3) ზონაში განთავსებულია ბაქტერიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ლაბორატორიები და ასევე, პათოგენების ეროვნული საცავი, სადაც უსაფრთხოდაა დაცული ადამიანისა და ცხოველის დაავადებების გამომწვევი განსაკუთრებით საშიში პათოგენები. ლუგარის ცენტრი ერთადერთი BSL-3 ლაბორატორიაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონში.

ცენტრში ფუნქციონირებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აკრედიტებული 3 ვირუსოლოგიური ლაბორატორია (პოლიომიელიტის, გრიპის, წითელა–წითურას). გარდა ამისა, ფუნქციონირებს საერთაშორისო ხარისხის კონტროლის სადიაგნოსტიკო ლაბორატორიები: როტა ვირუსების, ინვაზიური მენინგიტების, მალარიის, ანტიბიოტიკორეზისტენტობის, დიფთერიის და სალმონელოზების.

ლუგარის ცენტრის ლაბორატორიული შესაძლებლობებით სარგებლობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია (LMA), გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი - BSL-3 სივრცეში და აშშ უოლტერ რიდის სახელობის სახმელეთო ძალების კვლევითი ცენტრი (WRAIR) - BSL-2 სივრცეში. ცენტრის შესაძლებლობებს ფართოდ იყენებენ აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტები, როგორც მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მოსამზადებლად, ისე კონკრეტული სამეცნიერო კვლევების შესრულების მიზნით.

თავდაცვის სამინისტროს კონკურსის - ჯილდო ცოდნისთვის გამარჯვებულები გამოვლინდნენ

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ისტორიის შესახებ ცოდნის შემოწმების შესაძლებლობას იძლეოდა დასრულდა. კონკურსში მონაწილეობა 3655 მოქალაქემ მიიღო, რომელთაგან 50 გამარჯვებული გამოვლინდა. ყველა გამარჯვებულს თავდაცვის სამინისტროსგან სამხედრო თემატიკის წიგნები, ხოლო პირველ საპრემიო ადგილებზე გასულ კონკურსანტებს - ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. კონკურსში მონაწილეობა ონლიაინ ტესტირების გზით, ტესტები.მოდ.გოვ.გე - მისამართზე იყო შესაძლებელი. ტესტები 90 საკითხს მოიცავდა და შემდეგ კატეგორიებად დაიყო: სამხედრო ისტორია, საერთაშორისო თანამშრომლობა, თანამედროვე გამოწვევები, სამხედრო სამსახური, დროშები, სამხ-

რეები და ტაქტიკური ნიშნები. კონკურსის მიზანი თავდაცვის ძალებისა და სამხედრო ისტორიის პოპულარიზაცია, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ნუკრი გელაშვილმა განაცხადა, პროექტი - „ჯილდო ცოდნისთვის“ 2019 წელსაც გაგრძელდება და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

ქართული ჯარი უნიფორმებით სრულად არის უზრუნველყოფილი

ქართული მედიის წარმომადგენლებმა ვაზიანში, IV მექანიზებული ბრიგადის ერთ-ერთი სამხედრო სანივთე საწყობი დაათვალიერეს. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ გიორგი ბუთხუზმა ჟურნალისტებს, ჯარისკაცების სანივთე ქონებისა და ფორმების მარაგების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. მისი განმარტებით, ქართული ჯარი შესაბამისი სამხედრო ფორმით და აღჭურვილობით სრულად არის უზრუნველყოფილი. „2018 წელს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ გატარებული თანმიმდევრული და სწორი სანივთე

პოლიტიკის შედეგად, 2018 წლიდან თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები 100%-ით არიან უზრუნველყოფილი სანივთე ქონებით და იქმნება შესაბამისი მარაგები. მინდა სიამაყით განვუცხადო საზოგადოებას, რომ ქართული ჯარი 2018 წლიდან და შემდგომ წლებში იქნება სრულად უზრუნველყოფილი სანივთე ქონებით. 2019 წლიდან შეიცვალა თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეთა ფორმით უზრუნველყოფის ნორმები. ადრე თუ გაიცემოდა ერთ წელიწადში ერთი ფორმა, დღეს კაპრალ-სერჟანტების პირად შემადგენლობაზე ორ წელიწადში სამი ფორმა გაიცემა, ხოლო ოფიცრებზე იგივე რაოდენობა - ორწელიწადნახევარზე. ეს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს თავდაცვის ძალების სანივთე ქონებით უზრუნველყოფას და შექმნის იმ უწყვეტობის ციკლს, რომელიც მომავალ წლებშიც გადავა”.

სიურპრიზი შვილს ავღანეთიდან დაბრუნებული მამისგან

ავღანეთში მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიიდან დაბრუნებული II ქვეითი ბრიგადის ნაკრები ასეულის სამხედრო მოსამსახურე, მაიორი გიორგი ხუნდაძე მოულოდნელად შვილის კალათბურთის ამხანაგურ მატჩზე დასასწრებად მივიდა. ამხანაგური მატჩი თავდაცვის სამინისტროს საკალათბურთო წრესა და ზაზა ფაჩულიას აკადემიის გუნდს შორის გაიმართა. ქართველი ოფიცრის შვილი, ლაშა ხუნდაძე, ზაზა ფაჩულიას კალათბურთის აკადემიის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. ამხანაგურ მატჩს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი და თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე დაესწრნენ. მათ პატარა კალათბურთელს თამაშის დასრულების შემდეგ თავდაცვის მინისტრის სახელით სიმბოლური საჩუქარი გადასცეს. მაიორი გიორგი ხუნდაძე თავდაცვის ძალებში 2006 წლიდან სპეციალური ოპერაციების ძალებში მსახურობს. იგი ავღანეთში მისიით 2018 წლის ივლისში წავიდა და 6-თვიანი როტაცია 2 თებერვალს დაასრულა.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ავღანეთში იმყოფებოდა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი მშვიდობისმყოფელები მოინახულა. პრეზიდენტი იმ ბაზებზე იმყოფებოდა, სადაც საქართველოს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურეები არიან დისლოცირებული და ნატოს ეგიდით მიმდინარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიას ასრულებენ.

სალომე ზურაბიშვილმა თავდაცვის მინისტრთან ლევან იზორიასთან და თავდაცვის ძალების მეთაურთან, გენერალ-მაიორ ვლადიმერ ჩაჩიბაიასთან ერთად ბაგრამის საავიაციო ბაზა დაათვალიერა და ქართველი მშვიდობისმყოფელების ამოცანებს პირადად გაეცნო, ჯარისკაცებთან სადილისას კი ადგილზე არსებული მდგომარეობა მოისმინა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა მშვიდობისმყოფელებს მსოფლიო უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და ხაზი გაუსვა ქართველი სამხედროების დამსახურებასა და მათი საქმიანობის მნიშვნელობას ქვეყნისთვის. პრეზიდენტმა ბაგრამის სამხედრო საავიაციო ბაზაზე ავღანეთის საერთაშორისო მისიაში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მემორიალი გვირგვინით შეამკო და ქართველი ჯარისკაცების მიერ აშენებული ეკლესია მოინახულა. ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტმა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა ბაგრამის საავიაციო ბაზის მეთაურთან, გენერალ დანიელ კონლისთან, „მტკიცე მხარდაჭერის“ და აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერალთან აუსტინ სკოტ მილერთან, ასევე ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტთან მოჰამედ აშრაფ ღანი აჰმადზაისთან. დელეგაციის შემადგენლობაში პრეზიდენტთან ერთად იმყოფებოდნენ თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია, თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია, საქართველოს უმაღლესი სამხედრო წარმომადგენელი ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში, პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი, ლაშა ჟვანია.

გაზეთის გავრცელების ხელშეწყობისთვის საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მადლობას უხდის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო